მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

თარიღი: 19 ივლისი, 2024 წელი

დრო: 16:00 საათი

2024 წლის 19 ივლისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- მერის პირველი მოადგილე - ზვიად ბაზაძე
- მერის მეორე მოადგილე - მირზა ქოჩიაშვილი
- ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - ნინო ხუჯაძე
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - თამარ ზაალიშვილი

დღის წესრიგი:

1. მისალმება
2. ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების 4 წლიანი საქმიანობის ანგარიში
3. კითხვა-პასუხის რეჟიმი

შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა , მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების 4 წლის გაწეული სამუშაო ანგარიში. მრჩეველთა საბჭოს წევრებმა პრეზენტაციის საშუალებით მოისმინეს განყოფილების მუშაობის 2020 წლიდან- მიმდინარე 2024 წლამდე განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებულ ყველაზე მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების მოძიებას, მათ მონაცემთა შეგროვებას,დაუცველობის ფაქტორების დადგენას,ჯანდაცვის სპეციალისტის ჩართულობით ასეთი ტიპის ოჯახების შესწავლას და დახმარების გაწევას.

მიმდინარე წლებში, ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია სულ 55 ოჯახს, ასევე 159 არასრულწლოვანს , ხოლო თერჯოლის მერის ინიციატივით და მერიის კომისიის გადაწყვეტილებით ,თერჯოლის მუნიციპალიტეტში

მოქმედი ,, სახლდაზიანების პროგრამის ,, ფარგლებში , საცხოვრებელი სახლი აუშენა ,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 7 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, სხვადასხვა საკითხებთან ერთად გაჟღერდა თერჯოლის საზაფხულო , ახალგაზრდული ბანაკის გახსნის შესახებ , რომელიც ახალგაზრდებს საშუალებს მისცემს , დროის გარკვეულ მონაკვეთში დაკავდნენ მრავალფეროვანი კულტურული-გასართობი, შემეცნებითი და სპორტული აქტივობებით.

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: /მანუჩარ რობაქიძე/

მრჩეველთა საბჭოს მდივანი: /ქრისტინე ბარბაქაძე/